




30.01.2014

მანანა ქოჩლაძე - „სახელმწიფო მოიქცა, როგორც ყაჩაღი“

სტატიები



შეუერთდი განხილვას



სვანეთში, სოფელ ხაიშში უკვე მეორე დღეა, სიტუაცია დაიძაბა - ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელში შესასვლელი ლოდებით ჩახერგა და ინვესტორი კომპანიის „ტრანს ელექტრიკის“ მიერ წარგზავნილ მიწისმზომელებს სოფელში არ უშვებს. „ლიბერალი“ ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნეტივის“ დირექტორს, მანანა ქოჩლაძეს ესაუბრა.

ამავე თემაზე

"მიუღებელია აზრიც კი ხაიშის წყალში ჩაძირვის შესახებ"

ქართველი მწერლები ხელისუფლებას: "არ დაუშვათ ხაიშის დატბორვა!"

ხუდონჰესი - 35-წლიანი დილემა

როგორ გვატყუებენ ინვესტორები ანუ ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა

რა ხდება დღეს ხაიშში, რატომ იქცევა მოსახლეობა ასე რადიკალურად?

ამ შემთხვევაში რამდენიმე სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე. პირველი პრობლემა ისაა, რომ თავის დროზე, როცა სახელმწიფოსგან ინვესტორმა ერთ დოლარად შეიძინა ხუდონჰესის ასაშენებლად ტერიტორია, აქ მოხვდა ადგილობრივი მოსახლეობის როგორც სახნავ-სათესი, ისე საცხოვრებელი მიწები.

ეს ტრადიციული საკუთრებაა?

არა, ამ ადამიანებს აქვთ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გაფორმებული დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებს, რომ ისინი აქ ცხოვრობენ და საკუთრებას ფლობენ - ეს მიწა და ეს ქონება მათია. უბრალოდ, მათ არაა აქვთ ბოლო რეფორმის შესაბამისი დოკუმენტაცია, ანუ, მათი ქონება არ არის გატარებული საჯარო რეესტრში, ისევე, როგორც საქართველოს სოფლის მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტისა. ეს ქონება რომ მათია, ეს ფაქტი არასდროს ქცეულა დავის საგნად. ამას ადასტურებს 2008 წლის მსოფლიო ბანკის სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, თუ რამდენი ადამიანი შეიძლება დაზარალდეს და რამდენისთვის მოუწევთ კომპენსაციის გადახდა. პირველადი აღწერა სწორედ მაშინ ჩატარდა. ხაზგასასმელია, რომ საზოგადოებასთან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებთან კონსულტაციის გარეშე, პროექტისათვის საჭირო 1500 ჰექტარი მიწა და მასზე განლაგებული უძრავი ქონება, მათ შორის, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქონება, საავტომობილო გზა და ა.შ და ასევე, 178 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული სამუშაოები, რომელიც გაწეულ იქნა საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის საპროექტო არეალში, სიმბოლურ 1 აშშ დოლარად გადაეცა ინვესტორ კომპანიას 2012 წელს.

ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა მსგავსი ტიპის ტრანსაქცია განხორციელდა. დღევანდელი ხელისუფლება ძალიან ხშირად ახსენებს, რომ გასული ცხრა წლის განმავლობაში ხშირად ზარალდებოდა მოსახლეობა. მართლაც, უამრავი, მათ შორის ჩვენი კვლევაც ადასტურებს, რომ ხშირად არა მხოლოდ ტრადიციულ საკუთრებას, არამედ, დარეგისტრირებულ ქონებასაც კი გადაიფორმებდა სახელმწიფო და შემდეგ ასხვისებდა ინვესტორზე. შესაბამისად, აქ დგას სახელმწიფოს პრობლემა - მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული ვალდებულებების შესრულება; მათ შორის, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის პირველი მუხლი, რომლითაც დაცულია კერძო საკუთრება, სახლის უფლება - მერვე მუხლი და გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლი - საცხოვრისის უფლება, რომლის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, მტკიცედ უნდა დასაბუთდეს იძულებითი განსახლების აუცილებლობა (რაც

გულისხმობს ყველა იმ ალტერნატივის საფუძვლიან შესწავლას, რომელიც არ საჭიროებს იძულებით განსახლებას) და მხოლოდ ამის შემდეგ, თუკი კვლევისა და საზოგადოებრივი კონსულტაციების საფუძველზე დადასტურდა იძულებითი განსახლების აუცილებლობა, შესაბამისი პროცედურებისა და სტანდარტების გამოყენებით, მოსახლეობას დანაკარგი სრულად, ადეკვატურად და დროულად უნდა აუნაზღაურდეს.

შესაძლებელია თუ არა ადამიანი საკუთარი ნების წინააღმდეგ გამოასახლო?

შესაძლებელია, მაგრამ ამგვარ ფაქტს წინ უძღვის არა სახელმწიფოსა და კერძო კომპანიის მოლაპარაკებები, არამედ - სასამართლო პროცესი. თუ დატკიცდება ამა თუ იმ პროექტის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, მოქალაქე კი არ არის თანახმა, დათმოს თავისი საკუთრება, დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. შეგახსენებთ, რომ ხუდონჰესის შემთხვევაში, ჯერჯერობით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება არ დამტკიცებულა. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ოქმი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ მან თავიდან აიცილოს იძულებითი განსახლება განვითარების პროექტების განხორციელებისას და ხოლო იძულებითი განსახლების შემთხვევაში, უზრუნველყოს დაზარალებულთა სრული დაცვა, მათ შორის მოლაპარაკებების გამჭვირვალე პროცესი, სამართლებრივი დახმარება და ა.შ.

ენერგეტიკის სამინისტრომ 2013 წელს კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილებები, რომლის თანახმადაც კომპანიამ განსახლება უნდა განახორციელოს მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის თანახმად. ეს პოლიტიკა ასევე გულისხმობს როგორც ადამიანების იძულებითი განსახლების თავიდან აცილებას, ასევე დაზარალებული მოსახლეობის ადეკვატურ კომპენსაციას მათთან მოლაპარაკებების გზით.

ამგვარად, საქართველო და კომპანია აღიარებენ რომ მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის განხორციელების ვალდებულებას. ანუ ღია და პირდაპირი მოლაპარაკებების უნდა გამართოს დაზარალებულ მოსახლეობასთან ადეკვატურ კომპენსაციაზე მათ ტრადიციულ თუ ლეგალურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. ხუდონჰესის შემთხვევაში ეს წესები დაირღვა - სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2012 წელს „ტრანს ელექტრიკას“ საკუთრებაში გადასცა სხვისი ქონება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოიქცა, როგორც ყაჩაღი - მან სხვისი ქონება გადასცა მესამე მხარეს, თანაც ისე, რომ მესაკუთრებსაც კი არ აცნობა, რომ არაფერი ვთქვათ კონსულტაციის არარსებობაზე. ხოლო ახალმა მთავრობამ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები სტატუს კვოს აღსადგენად. აქამდე ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები სხვადასხვა მედიასაშუალებებით აცხადებდნენ, რომ მოსახლეობას არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდა, ხაიშელებს დაუბრუნდებოდათ მიწა

და შემდგომში ადეკვატურ კომპენსაციასაც მიიღებდნენ. დღეს კი, როცა ხაიშელები დადგნენ პრობლემის წინაშე, სახელმწიფო ისევ კომპანიის ინტერესებს იცავს და არა - მოსახლეობისას. ინვესტორმა არ დაუბრუნა სახელმწიფოს ქონება, ახლა ატარებს ე.წ. აზომვით სამუშაოებს და როგორც ვიცით, მხოლოდ იმ პირობით გადაუფორმებს მოქალაქეებს მათ საკუთარ ქონებას, თუ ისინი დათანხმდებიან გადასახლებაზე.

ენერგეტიკის სამინისტრო, იმის ნაცვლად, რომ დაიცვას მოსახლეობა, რომელსაც ვიღაც უცხო უვარდება სახლში, ისევ კომპანიის ინტერესის დაცვას ცდილობს. დღევანდელი მთავრობა ხშირად საუბრობს წინა ხელისუფლებაზე, რომელიც მოსახლეობის უფლებებს ლახავდა. დღეს რითი განსხვავდება ენერგეტიკის სამინისტროს ქმედება წინა ხელისუფლების საქციელისგან? იცავს სახელმწიფო დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებს? ხაიშელები წინა მთავრობისაგანაც და დღევანდელისგანაც ერთნაირად დაზარალდნენ.

ხაიშელები ზოგადად გადასახლების წინააღმდეგნი არიან. ჩვენ გვინახავს მათი გამოსვლები სხვადასხვა ეთერით. როგორ შეიძლება გადაწყდეს ეს პრობლემა?

დღეს ხაიშელები სრულიად მარტო და დაუცველები აღმოჩნდნენ. ჩვენ ვთავაზობდით სამინისტროს და კომპანიას, რომ დაებრუნებინათ წართმეული ქონება მოსახლეობისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყოთ მოლაპარაკებები განსახლებაზე, თუ განსახლების აუცილებლობა დადასტურდებოდა. ეს იქნებოდა თანასწორუფლებიანი პროცესი. მთელი ამ ხნის მანძილზე ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ეს არანაირი პრობლემა არ იქნებოდა, თუმცა არაფერი შეცვლილა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ამ ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ სრულიად დაუცველები არიან. ამას გარდა, ვრცელდებოდა ჭორები, რომ მათ ძალიან დიდ კომპენსაციას სთავაზობენ. შესაბამისად, დაიძაბა ურთიერთობები თვითონ სვანურ თემებს შორის. ამიტომაც იყო, რომ შეიკრიბნენ და დაიფიცეს. ეს ფიცი იმისთვისაც დაიდო, რომ სვანებს თავიანთი ერთიანობა ეჩვენებინათ. მათი ფიცი იმის მაჩვენებელიცაა, რომ სახელმწიფოში არანაირი სამართლებრივი ინსტიტუტები არ მუშაობს - ადამიანებმა, რომელთაც ქონება ჩამოართვეს, ვერ იპოვეს სამართლებრივი გზა, რომლითაც ამ ქონებას დაიბრუნებდნენ და საკუთარ უფლებას - იცხოვრონ იქ სადაც მათი ფესვებია, დაიცავდნენ. როგორც ჩანს, დღევანდელ საქართველოში ეს გზა პრინციპულად არ არსებობს. ხაიშელებზე სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ზეწოლა, მათ ემუქრებიან, რასაც თუნდაც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ილია ელოშვილის უკანასკნელი განცხადებები ადასტურებს.

ილია ელოშვილი ხაიშელებს განიხილავს, როგორც კანონდამრღვევებს -

"უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კანონს არღვევს, არ აქვს მნიშვნელობა რა მოტივით და რის გამო არღვევენ კანონს. პროტესტის ამგვარი ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია და შესაბამისად, ისინი უკვე იმ ძალით გვიპირისპირდებიან, რომ ამის მოგვარება სამართალდამცველებს ევალებათ“...

ელოშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ ხაიში უკვე ინვესტორის საკუთრება და ხაიშელები ინვესტორს საკუთარ მიწაზე არ უშვებენ. მისი სიტყვები ძალიან შემაშფოთებელია, რადგან თუკი ამდენ ხანს სახელმწიფო იზიარებდა მოსაზრებას, რომ წინა მთავრობამ კანონი დაარღვია და ისე გადასცა მოსახლეობის საკუთრება ინვესტორს, ამ განცხადებით ენერგეტიკის სამინისტრომ აღიარა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ხდებოდა, მართლზომიერი იყო. რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ იმის შემდეგ, რაც ეს ქონება აღიწერება და აიზომება, ხაიშის მოსახლეობას ვინმე რამეს დაუბრუნებს? მთელი წელიწადი ენერგეტიკის სამინისტრო ამტკიცებდა, რომ, რომ იქნება მოლაპარაკებები, ადექვატური კომპენსაცია და სამართლებრივი პროცესი. სად ჩანს, რომ სახელმწიფოა დღეს ამის გარანტი? იქ ხომ არა, როცა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ მთელი ხაიში თურმე ინვესტორის საკუთრებაა? მეტიც, გამოდიან და ეძებენ ვიღაცას, ვინც ამ ადამიანების უკან დგას. ის, რომ ასეთ სიტუაციაში ადამიანები გამოდიან და თავს იცავენ, სრულიად ბუნებრივია და მათ უკან არავინ არ დგას. უფრო სწორი იქნება, ვიკითხოთ, ვინ დგას „ტრანს ელექტრიკას“ უკან, რომელიც დღეს პრობლემებით ისედაც სავსე საქართველოში დაპირისპირების ახალ კერას ქმნის? ამ კომპანიის შესახებ შეგვიძლია შევიტყოთ მხოლოდ მათივე ინფორმატიულად მეტად ღარიბი ვებ-გვერდიდან, მას არავინ იცნობს და ჰესი კი არა, ერთი ჯიხურიც არ აქვს აშენებული.

დღეს ხაიშელებს სოლიდარული საზოგადოების გარდა, არავინ იცავს. საჩივარია შესული სახალხო დამცველის ოფისში იმის თაობაზე, რომ ზეწოლა იყო კომპანიისა და სახელმწიფოს მხრიდან, რაც გამოიხატა საჯარო განხილვების დღეს პოლიციის მობილიზაციით და აგრესიული გამონათქვამები საჯარო თანამდებობების პირების მიერ. დღეს კი სახელმწიფო სამართალდამცავებს მოუწოდებს, რომ მათ გაატარონ ზომები მოსახლეობის წინააღმდეგ ისე, რომ არც გამოიძიონ, რა დგას ამ ყველაფრის უკან. თუკი კანონდარღვევა მოხდა, ეს, ბუნებრივია, უნდა გამოიძიონ, მაგრამ განაჩენი ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს და არა - ენერგეტიკის სამინისტრომ. სასამართლოში კი უპირველესად უნდა ვიკითხოთ - რამდენად სწორი იყო, როდესაც ინვესტორს სახელმწიფომ სხვისი ქონება აჩუქა?

ესაუბრა ნინო ბექიშვილი